საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

„26" 11 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1596/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 8 ნოემბრის N 69614 განაცხადით შპს „ფარნავაზის" (მის: დიდუბე-ჩულურეთის რაიონი, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან, თბილისი, საქართველო) წარმომადგენელმა შოთა მეტრეველმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ფარნავაზი PARNAVAZI ФАРНАВАЗИ" (რეგ. N 23088) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ფარნავაზი PARNAVAZI ФАРНАВАЗИ" (რეგ. N 23088) საქართველოში რეგისტრირებულია 26.11.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 26.11.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ფარნავაზი PARNAVAZI ФАРНАВАЗИ" (რეგ. N 23088) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 140, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 26.11.2012).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტს; შპს „ფარნავაზის" წარმომადგენელს შოთა მეტრეველს (მის: საქართველო, 2200 თელავი, ალაზნის გამზ.#10, ბ.1).

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: ფარნავაზი
PARNAVAZI
ФАРНАВАЗИ

რეგ. N 23088

მფლობელი: **შპს „ფარნავაზი“**
დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან, 0159, თბილისი, საქართველო

კლასი:

33 - ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა).